საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-521

ქ. თბილისი

12/06/2019

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცაიშში ფ/პ ელგუჯა ქირიას სასათბურე მეურნეობისათვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ ელგუჯა ქირიას მიერ, გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია, სასათბურე მეურნეობისათვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცაიშში ფ/პ ელგუჯა ქირიას სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 43.20.42.228), რომლის საერთო ფართობი შეადგენს 7143 $მ^2$, ხოლო სასათბურე მეურნეობა მოწყობილია 1000 $მ^2$ -ზე.

სასათბურე მეურნეობის წყალმომარაგების მიზნით დაგეგმილია მდ. ჯუმიდან წყლის აღება, რომელიც სათბურამდე მიყვანის მიზნით ითვალისწინებს მცირე ზომის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობას. წყალაღების წერტილისა და სასათბურე მეურნეობას შორის მანძილი შეადგენს დაახლოებით 50 მეტრს. (წერტილის GPS კოორდინატებია: X- 730901; Y-4700949). საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 80 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილია 30 სმ სიღრმის და 50 მ სიგრძის მქონე ტრანშეის გაჭრა, რომლის სიგანეც იქნება 25 სმ. ტრანშეაში ჩაიდება 30 მმ დიამეტრის პოლიეთილენის მილი. წყალაღებისთვის გამოყენებული იქნება ელექტრო ტუმბო, რომლის სიმძლავრეა 1.5 $მ^3$ /სთ. მდ. ჯუმიდან აღებული წყალი მიეწოდება 1 ტ. ტევადობის რეზერვუარს, საიდანაც განხორციელდება მცენარეების მორწყვა.

სასათბურე მეურნეობა წელიწადში მოიხმარს 360 $მ^3$ ზედაპირულ წყალს.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე მილის პარამეტრებისა და თხრილის გაჭრის გათვალისწინებით ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სამუშაოების პროცესში არ მოხდება სპეცტექნიკის გამოყენება, შესაბამისად, გრუნტის წყლებზე რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებას ადგილი არ ექნება .

წყლის ტუმბოს მუშაობის რეჟიმისა და მოსაპოვებელი წყლის რაოდენობის გათვალისწინებით, იქთიოფაუნაზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას ადგილი არ ექნება.

ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს ელექტრო ტუმბო, რომლის სიმძლავრის და მოსახლეობიდან დაშორების გათვალისწინებით ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობის პროცესში სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ტრანშეის გაჭრის შემდგომ მისი დაფარვა მოხდება ამოღებული გრუნტით.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული სიტუაციებისა და კატასტროფების რისკი არ არსებობს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ აღინიშნება.

ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ცაიშში ფ/პ ელგუჯა ქირიას სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ელგუჯა ქირია ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ ელგუჯა ქირიას ;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ ელგუჯა ქირიას მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი